სს „საქართველოს ენერგეტიკული ბირჟის“

№20 საერთო კრების მოწვევის შესახებ

გადაწყვეტილება

სს „საქართველოს ენერგეტიკული ბირჟის“ (სენბი, ს/კ 404589432, მის: საქართველო, თბილისი, ჩუღურეთის რაიონი, კ.ხეთაგუროვის ქ., N36) 2024 წლის 2 თებერვლის №15/2024 საერთო კრების ოქმით დამტკიცებული წესდების (წესდება) მე-14 მუხლის პირველი პუნქტის „თ”, „კ“ და „ნ“ ქვეპუნქტის, ასევე მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონის 184-ე მუხლის 1 პუნქტის „თ”, „კ“ და „ნ” ქვეპუნქტებისა შესაბამისად,

გადაწყდა:

მოწვეულ იქნეს საზოგადოების მორიგი/წლიური საერთო კრება **2025 წლის 7 აგვისტოს, 14:00 საათზე.**

1. საერთო კრების დღის წესრიგით განისაზღვროს შემდეგნაირად:

   i. სენბის 2024 წლის ფინანსური აუდიტის წარდგენა;
   ii. ელექტროენერგიის ბაზრის გარდამავალ მოდელში ელექტროენერგიის დრით ადრე და დღიური ბაზრების ოპერატორის მომსახურების ნულოვანი საფასურების დადგენისა და სს „საქართველოს ენერგეტიკული ბირჟის“ ხარჯების დაფარვის შესახებ წარმოდგენილი წინადადების და შესაბამისი, მთავრობის განკარგულების პროექტის განხილვა;
   iii. სენბის სამეთვალყურეო საბჭოში ცვლილების განხილვა და სამეთვალყურეო საბჭოს შემადგენლობის განსაზღვრის შესახებ გადაწყვეტილების მიღება.
   iv. სადამფუძნებლო შეთანხმების ცვლილება

2. საერთო კრების სააღრიცხვო დღედ განისაზღვროს **2025 წლის 6 აგვისტო,** გასათვალისწინებელია, რომ საერთო კრებაში მონაწილეობისა და ხმის მიცემის უფლება აქვთ მხოლოდ იმ პირებს, რომლებიც სააღრიცხვო დღეს აქციონერებად ირიცხებიან;
3. საერთო კრება ჩატარდება ონლაინ ფორმატში, კენჭისყრა ხორციელდება ღია ხმის მიცემის მეშვეობით, საერთო კრების ოქმში აისახება კენჭისყრის შედეგები;
4. საერთო კრების დანიშვნის შესახებ აქციონერებს ეცნობება პირადად, ასევე ელექტრონულ მისამართებზე გაეგზავნებათ კრების მოწვევის შესახებ წინამდებარე გადაწყვეტილება და დღის წესრიგით განსაზღვრული საკითხების გადასაწყვეტად საჭირო მასალები, კერძოდ:

   - 2024 წლის ფინანსური აუდიტის დასკვნა;
   - ელექტროენერგიის ბაზრის გარდამავალ მოდელში ელექტროენერგიის დღით ადრე და დღიური ბაზრების ოპერატორის მომსახურების ნულოვანი საფასურების დადგენისა და სს „საქართველოს ენერგეტიკული ბირჟის“ ხარჯების დაფარვის შესახებ წინადადება და მთავრობის განკარგულების შესაბამისი პროექტი;
   - დაკავშირებული წერილები.

5. კანონმდებლობით დადგენილი წესით, გადაწყვეტილება გამოქვეყნდეს მარეგისტრირებელი ორგანოს ერთიან ელექტრონულ პორტალზე და სენბის ვებ-გვერდზე.

ირაკლი გალდავა
გენერალური დირექტორი

Irakli
Galdava
01024051256

Digitally signed by
Irakli Galdava
Date: 2025.08.06
13:30:01